დანართი №4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრები:
- ვერიკო ჭიღლაძე (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
- ზურაბ მესხიძე - დარგის ექსპერტი - " Front-end დეველოპმენტი".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 215108309

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 24 ივნისის MES 5 24 0000739267 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - ვერიკო ჭიღლაძე, ზურაბ მესხიძე) დაევალა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით, ვიზიტის განხორციელება სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლაში 2024 წლის 8-9 ივლისს.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
Front-end დეველოპმენტი".	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან მიმართებით ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორები: 4.1.1.1 - დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განვითარება, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი მარეგულირებელი დოკუმენტის განვითრება, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის აყვანა ასევე პერსონალის თვითშეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის პროფესიული განათლების მიმართულებით ტრენინგის ჩატარება, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (17.06.2024 - 17.12 2025 18 თვე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული კომპონენტი, შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი,, რამდენადაც სკოლას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით - პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განვითარება, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი მარეგულირებელი დოკუმენტის განვითრება, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის აყვანა ასევე პერსონალის თვითშეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის პროფესიული განათლების მიმართულებით ტრენინგის ჩატარება, დაგეგმილი ჰქონდა 6 თვის (02.09.2024 - 02.03 2025) ვადაში. მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140 - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ასევე ახლად შემუშავებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე (6 თვე) და რამდენადაც სკოლისთვის პროფესიული განათლება ახალი მიმართულებაა, რისკის თავიდან აცილების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება და შესრულების ვადად, ნაცვლად 6 თვისა, განსაზღვრა 18 თვე (17.06.2024 - 17.12 2025).
აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ინდიკატორის (შესაბამისად კომპონენტის) შეფასება შეცვალა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1 - უზრუნველყოს საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 17.06.2024 დან 17.12.2024 მდე (6 თვე).
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, რომლის ადრესატია ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კორესპონდენციის ასლი გაგზავნილია ასევე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან) კორესპონდენციით დასტურდება, რომ სამინისტრო იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იყოს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ასევე აღსანიშნია, რომ რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული **ინდიკატორთან 2.2.1.1**.,მიმართებით, სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად - საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, განსაზღვრული იყო 3 თვის ვადაში. მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ცვლილებაა განხორციელებული, რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე და რისკის თავიდან აცილების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება და შესრულების ვადად, ნაცვლად 3 თვისა, განსაზღვრა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024).
აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის აგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის რეკომენაციაში შესრულების ცადად მიუთითა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024). შეფასებაზე ამ ცვლილებას არ უმოქმედია.

ინდიკატორები 2.2.1.3 - დაწესებულებამ უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება პროფესიულ განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (17.06.2024 - 17.12 2024, 6 თვე).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ასევე აღსანიშნია, რომ რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული **ინდიკატორთან 2.2.1.3**.,მიმართებით, სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად - **ტრენინგების ჩატარება, პროფესიული განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით,** განსაზღვრული იყო 3 თვის ვადაში. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ცვლილებაა განხორციელებული და რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე და რისკის თავიდან აცილების მიზნით, შესრულების ვადად, ნაცვლად 3 თვისა, განსაზღვრა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024).

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის აგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის რეკომენდაციაში შესრულების ვადად მიუთითა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024). შეფასებაზე ამ ცვლილებას არ უმოქმედია.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა სტანდარტების 1.1.; 3.1. და 4.1. კომპონენტებთან განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 4.1.1.3 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ეფექტურად წარმართვის მიზნით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია უზრუნველყოს ხარისხის მართვის მენეჯერის/სპეციალისტის აყვანა, ან საკუთარი კადრი გადაამზადოს ამ მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 2.2.1.2 - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენტაცია - სასურველია დაწესებულებამ, პროგრამის მეტი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაამატოს განმახორციელებლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.3.1.1 - ნათლად და თანმიმდევრულად გაიწეროს პროგრამის შეფასების მექანიზმები, ასევე თანხვედრაში მოვიდეს სხვადასხვა დოკუმენტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერები.

ინდიკატორი 2.4.1.1 - სასურველია მოდულების თანმიმდევრული განაწილება მოხდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგალითად მოდულის „დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით“ განხორციელება მოხდეს მოდულის „ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით“ წინ.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც ის ეთანხმება ექსპერტთა ძირითად მიგნებებებს და ასევე გაიზიარა დაწესებულების მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანებით N 02-140 - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, დამტკიცებული ახლად შემუშავებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დეტალები იხილეთ დასკვნაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის მისიაა - ,,თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს შექმნას მრავალფეროვანი, ინოვაციური, ჯანსაღი ფსიქო - ფიზიკური სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები ჩამოყალიბდებიან მოაზროვნე, კონკურენტუნარიან, წარმატებულ და პასუხისმგებლობის მქონე, აქტიურ მოქალაქეებად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია თანაბრად ეხმიანება, როგორც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებსაც, რამდენადაც მისიით დაწესებულებას გაცხადებული აქვს რომ ის ზრუნავს შექმნას მრავალფეროვანი, ინოვაციური, ჯანსაღი ფსიქო - ფიზიკური სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები, პროფესიული სტუდენტები ჩამოყალიბდებიან მოაზროვნე, კონკურენტუნარიან, წარმატებულ და პასუხისმგებლობის მქონე, აქტიურ მოქალაქეებად.

მისიით დაწესებულება ეხმიანება ასევე პროფესიული განათლების პირველ, მეორე და მესამე მიზანს და განსაზღვრავს, რომ ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რაც ხელს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეუწყობს მოსწავლეთა/პროფესიულ სტუდენტთა უწყვეტ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას, მთელი სიცოცხლის განამვლობაში სწავლის შესაძლებლობისა და სწავლების მრავალსაფეხურიანობის უზრუნველსაყოფად“.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. **მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;**

რამდენადაც დაწესებულებას მისიით განსაზღვრული აქვს არა მხოლოდ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, არამედ ასევე პროფესიული განათლების მიზნების განხორციელებაც, გამოარჩევს მას სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ასევე პროფესიული განათლების მიმართულებით, ვიწრო პროფილით მუშაობა.კერძოდ მისიაში გაცხადებულია, რომ ის აპირებს განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;**

დაწესებულების **ხედვის თანახმად** - ,,2029 წლისთვის სკოლა იქნება საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც საზოგადოებას გაუწევს მაღალი ხარისხის მომსახურებას ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით, დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ, როგორც ზოგადსაგანამანათლებლო, ასევე პროფესიული განათლების მიღება, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განათლების მაღალი ხარისხით შესაძლებლობების რეალიზება. ხოლო, ინოვაციების ეპოქაში, 2029 წლისთვის თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა იქნება რეგიონში ლიდერი საგანამანათლებლო დაწესებულება ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის მიმართულებით დაინტერესებული პირებისთვის მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების შეთავაზების გზით“.

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ის ღირებულებებიც, რითაც ის ხელმძღვანელობს გადაწყვეტილებების მიღებისას: სამართლიანობა, სოციალური ინკლუზია/ხელმისაწვდომობა, ზრუნვა გამჭვირვალობა, გუნდურობა, თავისუფლება.

წარმოდგენილ ხედვაში მკაფიო **აქცენტებია გაკეთებული იმ ნაბიჯებზე, რომელსაც დაწესებულება შეიმუშავებს მისიის განსახორციელებლად და იმ წარმატებებზე, რომელსაც ის მიაღწევს 5 წელიწადში.**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დაწესებულებამ წარმოადგინა მეთოდოლოგია, რომლითაც დადგენილია სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპები, განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელ პირი (დირექტორის მოადგილე) და პროცესში ჩართული მხარეები (სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი, სამეურვეო საბჭო, თემი). იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულება გეგმავს პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობას, მეთოდოლოგიის შესაბამისად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ზოგადი და პროფესიული განათლების მიზნების გაანალიზებით, შეიმუშა არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები, რაც გაზიარებულია ყველა მონაწილის მიერ. შესაბამისად 2024 წლის 15 ივნისის დირექტორის ბრძანებებით N02-85 და N02-86, ცვლილებები შევიდა სტრატეგიულ განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში, რომლებშიც ასევე წარმოდგენილია ახლად გადამუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ ისინი განთავსდა სკოლის ვებგვერდზე და სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რაც ასევე მეთოდოლოგიითაც არის განსაზღვრული, რომ სწავლის დაწყებისთანავე, მისია, ხედვა და ღირებულებებს გააცნობენ ყველა ახალ თანამშრომელს და პროფესიულ სტუდენტს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- 2024 წლის 15 ივნისის დირექტორის ბრძანება N02-85, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
- 2024 წლის 15 ივნისის დირექტორის ბრძანება N02-86, სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 5.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მთელი რიგი რეგულაციებისა, რომლებშიც გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიები. სკოლის შინაგანაწესში ინტეგრირებულია პროფესიული განათლების საკითხებიც და ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე, პროფესიულ სტუდენტებსა და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.

სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით დამტკიცებულია - სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის უფლებები, მხარდამჭერი ღონისძიებები და მოვალეობები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, შიდა და გარე მობილობის და შეწყვეტის წესები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრების (აპელაცია) წესი, სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზება და კონსულტაციები. ყველა წარმოდგენილი წესი, წახალისებისა და დისციპლინური დევნის საკითხები, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და სხვ. არსებული მოთხოვნების შესაბამისადაა შემუშავებული.

დაწესებულებას ცალკე დოკუმენტებად აქვს შემუშავებული ასევე:

- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-88 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი.
- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის 1 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა.
- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-81 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.
- , სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-89 ბრძანებით დამტკიცებული ,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების წესი“
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“ დამტკიცებული, სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-90 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-92 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე პროფესიულ სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარებისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

როგორც უკვე აღინიშნა (3.1.1.1.) დაწესებულებას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა გათვალისწინებითაც დაცული იქნება პროფესიული სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (თავი II. ,,პროფესიული სტუდენტის უფლებები, მხარდამჭერი ღონისძიებები და მოვალეობები“) თანახმად, პროფესიული სტუდენტების უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები გაცნობილ იქნება პროფესიული სტუდენტისთვის, როგორც სასწავლო წლის დასაწყისში პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრების დროს, ასევე ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსებით და ასახული იქნება მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ყოველი ახალი ნაკადის პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს - დირექტორის მოადგილეს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარი, კითხვარის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-95 ბრძანებით), რითაც შეფასდება, თუ, რამდენად უზრუნველყოფილია დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-4 თავის 24-30 მუხლებით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების პროცედურა. კერძოდ, შეფასების სახეები, შეფასების ინსტრუმენტისა და მისი შემუშავების პროცედურა, შეფასების მიდგომები. შეფასების პროცედურა გაწერილა ასევე დოკუმენტში ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტთა ინფორმირების წესი განსაზღვრულია დოკუმენტით - პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (მუხლი 9 - შეფასების შედეგებზე პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება და მუხლი 10. სწავლის შედეგების შეფასების აპელაციის პროცედურა). რეგულაციებში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხები, როგორც შეფასებამდე, ასევე, მიღებული შეფასების თაობაზე. ასევე განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შეფასების შედეგების გასაჯაროება. შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად იქნება განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე განიხილება.

როგორც უკვე აღინიშნა (3.1.1.1) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის დასარეგულირებლად დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი: ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის ინფორმირების საკითხები,

რეგულაციებში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხები, როგორც შეფასებამდე, ასევე, მიღებული შეფასების თაობაზე. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ეს ცალკეულ შემთხვევებში არის პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი ან/და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი (აღნიშნული გათვალისწინებულია სამუშაო აღწერილობებით). ყველა მექანიზმით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. **დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;**

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-88 ბრძანებით დამტკიცებულ ,,პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“ (მუხლი 16) განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წესი, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ მოთხოვნებთან. დაწესებულამ ასევე წარმოადგინა ხელშეკრულების ფორმა, რომლის შესწავლით დგინდება, რომ ხელშეკრულების ძირითად პუნქტებში გაწერილია სტუდენტის ძირითადი უფლებები და მოვალეობები, ასევე სასწავლებლის უფლება-მოვალეობანი, მხარეთა პასუხისმგებლობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. ხელშკრულებაში გათვალისწინებულია ასევე მუხლი, რომ ზსდ-ს წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის, პროფესიული სტუდენტის სასწავლო და დასაქმების მიზნებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფლებამოსილია დაამუშავოს ან მესამე პირს გააცნოს/გადასცეს პროფესიული სტუდენტის პერსონალური ხასიათის ინფორმაცია, რომელიც ზსდ-ს მიღებული აქვს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების პროცესში ან სასწავლო პერიოდში. აღნიშნულიდად გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება თავის საქმიანობას განახორციელებს აღნიშნული წესის შესაბამისად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. **დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.**

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და პროცედურა დარეგულირებულია "პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 23-ე მუხლით. აღნიშნული მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის განათლების მიღებისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის საკითხებს. უზრუნველყოფს სასწავლო მასალის აკომოდაცია-ადაპტაციას და სასწავლო მასალის მოდიფიცირებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურას. კერძოდ, განსაზღვრავს ინდგეგმის შედგენის საფუძვლებს, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით შესაბამის ვადებსა და სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხს. მარეგულირებლის თანახმად, ინდგეგმის შემუშავების საფუძველი შეიძლება გახდეს შემდეგი გარემოება:ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის დაკვირვებით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება; ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი; გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის; დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით; ე). საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული.

წესით განსაზღვრულია ასევე ის შემთხვევებიც, როცა ისგ-ს შემუშავება უკავშირდება ფინანსურ რესურსს ან პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის პერიოდის გახანგრძლივებას. ამ დროს საჭიროა განმცხადებლის წერილობითი თანხმობა და სასწავლო ხელშეკრულებაში ცვლილება ან წერილობითი შეთანხმება.

წესში ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ისგ-ს შემუშავების პროცესში პროფესიული სტუდენტის/ კანონიერი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში) ჩართულობა, რაც უნდა აისახოს ოქმში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესით განსაზღვრულია ის შემთხვევაც, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს სასწავლო ჯგუფისთვის, მათ შორის, ფორს - მაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი ბრძანებით შექმნილი კომისია და ისგ მტკიცდება გენერალური დირექტორის მიერ.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში (სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში);
- პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“;
- პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”;
- ,,პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური და საკვალიფიკაციო შეფასების ჩატარების წესი“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“;
- თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

რამდენადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 ივნისის ბრძანებით №101/ნ, ცვლილება შევიდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 ოქტომბრის №448 ბრძანებაში და სკოლა უფლებამოსილი გახდა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამა“ (მუხლი 2[1] სკოლის მიერ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, პროფესიული მომზადების პროგრამის ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება), სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის N1 საჯარო სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "Front-end დეველოპმენტი". ამ მიზნით, აღნიშნული ბრძანების თანახმად და სკოლის წესდების შესაბამისად დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და ათანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში (პედაგოგიურ საბჭო, სამეურვეო საბჭო, სკოლის დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინურ კომიტეტი). პროფესიული განათლების მიმართულებით თანამდებობები არ იყო დამატებული, თუმცა, ცვლილება შევიდა არსებულ საშტატო განრიგის შესაბამის თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში (სამუშაო აღწერილობაში), სადაც თანამდებობის შესაბამის პოზიციებს განესაზღვრა პროფესიული განათლების მიმართულებით ფუნქცია-მოვალეობები. აღნიშნული დასტურდება 2024 წლის 15 ივნისის დირექტორის N02-82 ბრძანებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლითაც დამტკიცდა სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულების პარალელურად, დასაქმებულთა ნაწილი საქმიანობას განახორციელებს პროფესიული განათლების მიმართულებით (მაგ. დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი).

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომელიც დაწესებულებამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა, დაიგეგმა:

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განვითარება;
- პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი მარეგულირებელი დოკუმენტის) განვითარება,
- პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის აყვანა

შესრულების ვადად განისაზღვრა 6 თვის პერიოდი - 02.09.2024 - 02.03 2025.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული კომპონენტი, შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი,, რამდენადაც სკოლას თვითშეფასების დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით - პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განვითარება, პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების, სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი მარეგულირებელი დოკუმენტის განვითრება, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის აყვანა ასევე პერსონალის თვითშეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის პროფესიული განათლების მიმართულებით ტრენინგის ჩატარება, დაგეგმილი ჰქონდა 6 თვის (02.09.2024 - 02.03 2025) ვადაში. მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140 - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შემუშავების შესახებ, ასევე ახლად შემუშავებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე (6 თვე) და რამდენადაც სკოლისთვის პროფესიული განათლება ახალი მიმართულებაა, რისკის თავიდან აცილების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება და შესრულების ვადად, ნაცვლად 6 თვისა, განსაზღვრა 18 თვე (17.06.2024 - 17.12 2025).

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ინდიკატორის (შესაბამისად კომპონენტის) შეფასება შეცვალა, **როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაციები: - უზრუნველყოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის განვითარება; პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების (სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი მარეგულირებელი დოკუმენტის) განვითარება და პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის აყვანა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში 18 თვე (17.06.2024 - 17.12 2025).
ინდიკატორი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. **დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;**

როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულებით თანამდებობები არ იყო დამატებული, თუმცა დაწესებულებას სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია პროფესიული განათლების მიმართულებითაც,
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში აღწერილია ის აქტივობები, რომელიც ჩატარდა აღნიშნულის მისაღწევად, კერძოდ დაწესებულებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციების, მათ შორის ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების ანალიზი, იდენტიფიცირდა ყველა ის საქმიანობა/პროცესი, რაც უნდა განხორციელდეს სკოლაში.პროფესიული განათლების მიმართულბით, შესაბამისად განისაზღვრა თანამდებობების ფუნქციები და შემუშავდა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. კერძოდ ფუნქციები დაემატა დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, ბუღალტერს, საქმისმწარმოებელს, ბიბლიოთეკარს; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს, საინფორმაციო მენეჯერს, ექიმს.
ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

პროფესიული განათლების მიმართულებით, ვიზიტის პერიოდში, დაწესებულას არ ჰყავდა ხარსხის მართვის მენეჯერი/სპეციალისტი, რამდენადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ სტრუქტურული ერთეულების ყველა წარმომადგენელი სასწავლო პროცესის მონაწილეა, გარდა დირექტორისა, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის მენეჯერის ფუნქციების შესრულება, სწორედ მას დაევალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (2024 წლის, 15 ივნისი, N 02-92) დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის, პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაანალიზებულია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და ქვეპროცესები და ასევე შეიმუშავა 2024-2025 წლის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის პროექტი.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ეფექტურად წარმართვის მიზნით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია უზრუნველყოს ხარისხის მართვის მენეჯერის/სპეციალისტის აყვანა, ან საკუთარი კადრი გადაამზადოს ამ მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრუქტურის, საშტატოს, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დაა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (2024- 2025 სასწავლო წელი);
- დაწესებულების დირექციის პირადი საქმეები.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს, როგორიცაა: სამსახურში აყვანის გაფორმება, სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, სამუშაოს შესრულების ადგილი, შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა, სამუშაოს, დასვენების და შესვენების დრო, გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ და არასაპატიოდ ჩათვლის წესი, დამსაქმებლისა და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობანი, ეთიკის ნორმები, შვებულების ოდენობა და მიცემის წესი, მივლინება, დასაქმებულის მოტივაცია და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვა. შინაგანაწესში სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია პროფესიული განათლების მიმართულებაც. კერძოდ, შინაგანაწესის მე-10 თავში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის თაობაზე თუ შინაგანაწესის, რომელი მუხლები ვრცელდება პროფესიული განათლების მიმართულებით.

შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე თანამშრომლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, რომლის ფარგლებშიც გაკეთებულია შეთავაზება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში თანამშრომლობასთან დაკავშირებით და მიღებულია თანხმობები.

პერსონალის მართვის ეფექტურად წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა: სკოლის ორგანიზაციული მოწყობა; ადამიანური რესურსის მოზიდვა, შერჩევა და დასაქმება; პერსონალის განვითარების პოლიტიკა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

დაწესებულებას მართვის პოლიტიკის დოკუმენტით დარეგულირებული აქვს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვისა და დასაქმების საკითხები. მათ შორის არის: პერსონალის მართვის პოლიტიკა, კადრების მოზიდვისა და შერჩევის პრინციპები და პროცედურები, სკოლის მასწავლებელთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევის წესები, მასწავლებლის/პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების წესები, მასწავლებელთა კონკურსის ეტაპები, კომისიის შექმნის წესი, კონკურსის გზით ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის პროცედურები, კონკურსის ჩაშლის/შეწყვეტის საფუძვლები, საპრეტენზიო კომისიის საკითხები და სხვა.

ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკით, ასევე, თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნულის გათვალისწინებით არის დაკომპლექტებული ადმინისტრაციული პერსონალი, რაც დადასტურდა მათი პირადი საქმეების შესწავლით. სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის (მე- 2 მუხლი) შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება: სამართლიანობას, თანასწორობას, თანაბარ შესაძლებლობებს, მიზანშეწონილობას, გამჭვირვალობას, მონაწილეობის პრინციპებს, ორიენტაციას ხარისხზე. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, სკოლაში გადაწყვეტილებები მიიღება გუნდურად, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში.ამის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფების მიერ ჩატარებული სხდომების ოქმები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების სტრუქტურა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ;
- სკოლის დირექტორის ბრძანება სკოლის სტრუქტურის, საშტატოს, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დაა თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა).

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მე-4
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის №02-100 ბრძანება Front-end დეველოპმენტის საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ქ. ფოთი. აკაკის ქუჩა 44

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	40
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **■ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სკოლის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა და პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დაწესებულების მისიის შესაბამისად „პროფესიული განათლების საფუძველზე ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას“, აღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ ეხმიანება კოლეჯის მისიას, რომელიც მრავალპროფილურია და წინააღმდეგობაში არ მოდის მასთან. ხოლო მისი 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს „პროფესიული განათლების ხელშეწყობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების გზით“. პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის პერსპექტივას.

დაწესებულების მიერ დასაბუთება გამყარებულია პირველადი და მეორეული კვლევის შედეგებით. მაგალითად ზსდ-ს მიერ შეხვედრები ჩატარდა და გამოიკითხა მეათე კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები. პროფესიული პროგრამის შერჩევის დროს შესწავლილი იქნა საქართველოს რეგიონებისთვის (SECTORS)”- ფარგლებში მომზადებული ,, კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“ (2021 წელი), სკოლის პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის ტურიზმის სექტორში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევები, შრომის ბაზრის ანალიზი, ევროპის შრომის ბაზარზე აღნიშნული პროფესიის მოთხოვნის მაჩვენებელი და სხვა. მიზანშეწონილობის დასაბუთებაში წარმოდგენილი მაჩვენებელი ამყარებს პროფესიული პროგრამის განხორციელების საჭიროებას.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს: არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში სრული ზოგადი განათლება, ხოლო საშუალო განათლების 10 კლასის განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. სტანდარტით სხვა სახის მოთხოვნები განსაზღვრული არ არის.

'სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის" (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-88 ბრძანებით) თანახმად სკოლის დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებსა და სკოლის მიერ ორგანიზებული შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის № 02-96 ბრძანებით), რომლის თანახმადაც გაწერილია ზსდ - ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღრული სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი; პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორები; ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება; ადამიანური რესურსის ფაქტორი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას; პროგრამის განხორციელების მიდგომის ფაქტორი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას; პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დამატებითი ფაქტორები.

დაწესებულების მიერ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გნსაზღვრულია 40 სტუდენტით. დასაბუთება შეესაბამება მეთოდოლოგიას და ექსპერტთა მიერ შესწავლილი რესურსების, დატთვირთვებისა და აუდიტორიების გამტარუნარიანობის გათვალისწინებით რეალისტურია. პროფესიული პროგრამის „Front-end დეველოპმენტი" სასწავლო გარემო იძლევა შესაძლებლობას ერთ ცვლაში ისწავლოს 20 პროფესიულმა სტუდენტმა, ორ ცვლაში 40 პროფესიულმა სტუდენტმა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელებისთვის საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რელევანტურია და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმამანათლებლო რესურსი დაწესებულებას განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“ (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით) თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს დირექტორი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ დამტკიცებულია სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის №02-100 ბრძანებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ სახელწოდება რელევანტურია და შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „Front-end დეველოპმენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი - 06.1.1) საფუძველზე. იგი შემუშავებულია დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“ (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით) თანახმად. ამასთან, ინტეგრირებული პროგრამა შესაბამისობაშია 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლებს , მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საშუალოპროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესებთან და პირობებან, ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №95/ნ2024 წლის 7 ივნისს №170/ნ ბრძანებაში შეტანილ ცვლილებებსა და კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებთან.

პროგრამით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე);მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე); მიზანი, დაშვების წინაპირობა; დასაქმების შესაძლებლობები; სწავლის შედეგები.

„Front-end დეველოპმენტი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით და 12 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 88 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 სასწავლო თვეს ანუ 69 სასწავლო კვირას.

„Front-end დეველოპმენტი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 60 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 11 სასწავლო თვე, ანუ 45 სასწავლო კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ასევე გაწერილია არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ქართული ენის მოდული გავლის პირობები და ხანგრძლივობა. პროგრამის განხორციელების ენაა ქართული.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- 2023-2029 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №02-85, 15 ივნისი 2024 წელი;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლაში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-88 ბრძანებით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის № 02-96 ბრძანებით;
- პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით;
- სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ.ფოთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის №02-100 ბრძანება საგანმანათლებლო პროგრამა Front-end დეველოპმენტის დამტკიცების შესახებ;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“ განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 40 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 20.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი A/B/C გარემოები, რომელიც არ იყო აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისვის საჭირო მატერიალური რესურსით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება პირველად იმატებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით, „საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ არის სრულად უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სრულად არ არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსები ზოგადი ინტეგრირებული მოდულების მიმართულებით, მათ შორის ლაბორატორიის გამწოვი“, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანებით N 02-140), გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველყოს **საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში- 17.06.2024 დან 17.12.2024 მდე (6 თვე).**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 20.06.2024 წლის N 714411 კორესპონდენცია, რომლის ადრესატია ,,განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (კორესპონდენციის ასლი გაგზავნილია ასევე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან) კორესპონდენციით დასტურდება, რომ სამინისტრო იღებს ვალდებულებას და იძლევა გარანტიებს, რომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენის პროცესს განახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომელიც შესყიდვების დასრულების შემდგომ გადასცემს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რათა სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის, ყველა სკოლა აღჭურვილ იყოს ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია.

ასევე აღსანიშნია, რომ რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული **ინდიკატორთან 2.2.1.1**.,მიმართებით, სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად - საგანმანათლებლო სივრცეების გარემოების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, განსაზღვრული იყო 3 თვის ვადაში. მაგრამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ცვლილებაა განხორციელებული, რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე და რისკის თავიდან აცილების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება და შესრულების ვადად, ნაცვლად 3 თვისა, განსაზღვრა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024).

აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის რეკომენაციაში შესრულების ვადად მიუთითა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024). ინდიკატორის შეფასებაზე ამ ცვლილებას არ უმოქმედია.

შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“, განხორციელების მიზნით დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 10 მასწავლებელი, მათ შორის ერთი განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. მასწავლებლებთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი რეკომენტაცია - სასურველია დაწესებულებამ, პროგრამის მეტი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაამატოს განმახორციელებლები.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, თუმცა გარკვეულ კომპეტენციეში საჭიროებენ გადამზადებას.

დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასებულია მეტწილი შესაბამისობით „პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს სრულად არა აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია (მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში არიან გამოცდილი მასწავლებლები, როგორც პროფესიული მიმართულებითა, ასევე ზოგადი განათლების მიმართულებით)“, აღნიშნულთან დაკავშირებით მათ მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140), სადაც გაწერილია, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტანდარტის შესაბამისობაში მოყვანის დრო, პასუხისმგებელი პირები, აქტივობები და რესურსები.

ინდიკატორთან მიმართებით გეგმით გაწერილია შემდეგი აქტივობა და შესაბამისობაში მოყვანის ვადა:

ტრენინგების ჩატარება - პროფესიულ განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით (17.06.2024 - 17.12 2024, სწავლის დაწყებამდე 6 თვე);

ექსპერტების შეფასებით აღნიშნული ინფორმაცია რელევანტურია მოცემულ დროში შესასრულებლად. შესაბამისად დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ტრენინგების ჩატარება პროფესიულ განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (17.06.2024 - 17.12 2024, 6 თვე);

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ასევე აღსანიშნია, რომ რომ დასკვნის პროექტის ფარგლებში, აღნიშნული **ინდიკატორთან 2.2.1.3**.,მიმართებით, სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად - ტრენინგების ჩატარება, პროფესიული განათლების სწავლების, ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით, განსაზღვრული იყო 3 თვის ვადაში. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს ბრძანება N 02-140, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ, ასევე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც ცვლილებაა განხორციელებული, რომელთა შესწავლით დასტურდება, რომ სკოლამ იმსჯელა განსაზღვრულ ვადაზე და რისკის თავიდან აცილების მიზნით, შესრულების ვადად, ნაცვლად 3 თვისა, განსაზღვრა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024).
აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შეისწავლა ახლად წარმოდგენილი სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისობის რეკომენაციაში შესრულების ვადად მიუთითა 6 თვე (17.06.2024 - 17.12 2024). შეფასებაზე ამ ცვლილებას არ უმოქმედია.
შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.

4. **პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;**
დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები (სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები -- მუხლი 17. პროგრამის ხელმძღვანელი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტისთვის "დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს ხელმძღვანელი პირი, რომლის პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ იგი არის კვალიფიციური და აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება, თუმცა გარკვეულ კოპეტენციებში საჭიროებს გადამზადებას, **რასთან დაკავშირებითაც ექსპერტებისათვის მოწოდებულ იქნა ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სააგენტო აგრძელებს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მუშაობას, რომლებმაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინეს ინტეგრირებული პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად საავტორიზაციო განაცხადი, როგორც მასწავლებლების მოძიების, ისე მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით.**
შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას გაწერილი აქვს „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა ბიბლიოთეკის დებულება“ (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-80), სადაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და მექანიზმები.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო მასალის არსებობა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ აღნიშნული რესურსები დაწესებულებას განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულებას სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით) გაწერილი აქვს მუხლი 22. სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და მუხლი 23. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების წესი. საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირთათვის დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აყვანას (მომსახურების ხელშეკრულება, ვაუჩერული დაფინანსებით). სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის № 02-82 ბრძანებით) თანახმად შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ვალდებულებებში.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

7. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც პროგრამის განხორციელებისთვის რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 6 პროფესიული სტუდენტი. არსებული გაანგარიშებით ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა,

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შესაბამისობის გეგმა (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-101);
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პირადი საქმეები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;
- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის № 02-82 ბრძანებით;
- „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა ბიბლიოთეკის დებულება“ (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-80);
- სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №02-98 ბრძანებით);
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;**

დაწესებულებას დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით) გაწერილი აქვს IV თავი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები. ამავე დოკუმენტის თანახმად აღნიშნული საკითხი ასევე რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტშიც. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-99).

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმების ნაწილი ბუნდოვანი და გაბნეულია, გაძნელებულია კონკრეტული განსახორციელებელი აქტივობების შინაარსის თავმოყრა, დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - მკაფიოდ და თანმიმდევრულად გაიწეროს პროგრამის შეფასების მექანიზმები, ასევე თანხვედრაში მოვიდეს სხვადასხვა დოკუმენტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ჩანაწერები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. **დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით).

დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასება და მის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამაში/მოდულებში ცვლებები არ განხორციელებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-84 ბრძანებით);
- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-99);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის ბრძანებით №02-92);
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტის“ ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. ასევე კვირეული დატვირთვის დროს გათვალისწინებულია შესაბამისი წესები და კანონები.

აღნიშული პროგრამის ფარგლებში მოდულებს დაშვების წინაპიროები არ აქვს, **შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია სასურველია მოდულების თანმიმდევრული განაწილება მოხდეს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად ლოგიკური თანმიმდევრობით, მაგალითად მოდულის „დინამიური ვებგვერდის შექმნა typescript-ის საშუალებით“ განხორციელება მოხდეს მოდულის „ვებგვერდის ინტერაქტიულობისა და ეფექტების შემუშავება React-ის საშუალებით“ წინ.**

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ისინი სრულ მზადყოფნაში არიან მყისიერი რეაგირება მოახდინონ ყველა შემხვედრ საჭიროებებზე და გაითვაისწინონ სტუდენტთა ინტერესები.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს, რომელიც გულისხმობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერვიუებზე დადგინდა, რომ განმახორციელებლებს აქვთ თანამედროვე ტექნოლოგიების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყენების, წვდომისა და ინფორმაციის მოპოვების უნარები. დაწესებულების მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება ხდება პირველად, შესაბამისად დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი ჯერ არ განხორციელებულა.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულებას „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით) გაწერილი აქვს მუხლი 23. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების წესი. დოკუმენტის თანახმად „ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია შემუშავდეს სასწავლო ჯგუფისთვის, მათ შორის, ფორს - მაჟორული სიტუაციებიდან გამომდინარე. აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია და ისგ მტკიცდება გენერალური დირექტორის მიერ“. დაწესებულებას სტუდენტთა მიღება ჯერ არ განუხორციელებია, შესაბამისად პრაქტიკაში პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების მაგალითები არ არსებობს.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

5. **დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

დაწესებულება არ თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების ბაზაზე.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „Front-end დეველოპმენტის“ თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება არ საჭიროებს განსაკუთრებულ/სპეციფიკური უსაფრთოხების პირობების შექმნას/დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულებას „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით) გაწერილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. აღნიშნული თავით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის შეფასების სახეები, განმსაზღვრელი შეფასების პროცესი, შეფასების თარიღის შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმეორებითი გამოცდები, შეფასების შედეგების შესახებ სტუდენტის ინფორმირება, განმსაზღვრელი შეფასების გასაჩივრება (აპელაცია) და სხვა. აღნიშნული საკითხები ასევე გაწერილია „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“-ს დოკუმენტში (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-81 ბრძანებით). მექანიზმებით ასევე დარეგულირებულია შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურა და შინაარსი; შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა; შეფასების ინსტრუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლება; შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების პროცესის აკომოდაცია ან სტანდარტული პროცედურის ცვლილება, პასუხისმგებელი პირები.

ინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებას უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად შექმნილი დადასტურების კომისია. რეგულაციის თანახმად სკოლა უზრუნველყოფს ვალიდურ, სანდო, ობიექტურ, სამართლიან და გამჭვირვალე შეფასების სისტემის მოქმედებას პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შესაფასებლად.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

„პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“-ს დოკუმენტში (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-81 ბრძანებით) გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვერიფიკაციის მიზანის, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეების, ვერიფიკაციის მიმართულებების და მექანიზმების, ვერიფიკაციის პროცესის შესახებ. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან: პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი, დარგის ექსპერტები. განათლების ექსპერტების სახით პროცესში დამატებით შესაძლოა ჩართული იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის პირები. დოკუმენტის თანახმად ვერიფიკაციის გეგმის საფუძველზე, ვერიფიკაციის მიმართულებებია: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულებაში ვერიფიკაცია ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა მისი განხორციელება გაწერილია 2024 - 2025 წლის “ზსდ - ის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა პროექტში“

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. **დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

„სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით) მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის განმსაზღვრელი შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება პუნქტი 5-ის თანახმად „პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელი“.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება პირველად მოიპოვებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებას, შესაბამისად მას პროფესიულ სტუდენტთა შეფასება ჯერ არ განუხორციელებია.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-81 ბრძანებით);
- „სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებულიადირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით);
- 2024 - 2025 წლის ზსდ - ის პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა პროექტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.08.2024

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: